ევროკავშირი
საქართველოსთვის

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

# თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია

2023

თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის "**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საზოგადოება „ბილიკი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

# თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის
# ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია
# 2022-2026 წ

# სარჩევი

შესავალი ........ 3

ზოგადი ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ ........ 4

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ........ 5

ხაშურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა ........ 6

საქართველოში არსებული მდგომარეობა ........ 10

ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი მდგომარეობა ........ 12

მისია ........ 14

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ........ 14

1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ........ 15

2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობების შექმნა ........ 15

3. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ........ 15

4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება ........ 16

სამოქმედო გეგმა ........ 17

მიზანი 1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია ........ 17

მიზანი 2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობები შექმნილია ........ 20

მიზანი 3. ახალგაზრდული პოლიტიკა მუშაობს ........ 22

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია ........ 24

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ........ 27

# შესავალი

წინამდებარე სტრატეგია მომზადდა თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობლივი კომისიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ პარტნიორობის საფუძველზე, ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*“ ფარგლებში.[1] შემდგომში მონაწილეთა წრე გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სხვა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ის ახალგაზრდები და დაინტერესებული პირები, ვინც თვითმმართველ თემში ცხოვრობს და/’ან საქმიანობს.

2022 წლის გაზაფხულზე, ,,საზოგადოება ბილიკის“ მიერ ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლის მიზნით. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და პრობლემები გახდა საფუძველი ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული სტრატეგიის შექმნის. ახალგაზრდული სტრატეგია მთავარი ინსტრუმენტია ხაშურის ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარებისთვის.

„თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის” (შემდგომში „სტრატეგია“) არეგულირებს იმ საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის №533 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“, მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტი თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №349 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმასთან“, რომელიც 2015-2020 წლებში

---

[1] პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

დამტკიცდა[2]. წინამდებარე დოკუმენტში ასევე გათვალისწინებული და ასახულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციები[3].

ხაშურის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს. სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების (მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები პირების) იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;
- ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- ხაშურის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წევრებთან, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის განხილვა;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, „„თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის" დამტკიცება.

## ზოგადი ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტი შედგება 12 ადმინისტრაციული ერთეულისგან, 84 სოფლისგან, მათ შორის ერთი დაბა:

1. ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული

[2] „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)" დამტკიცების შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2766763, ნახვის დღე 20 აგვისტო

[3] ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ: CM/Rec(2017)4, CM/Rec(2016)7, CM/Rec(2015)3, CM/Rec(2010)7, Rec(2006)14, Rec(2004)13, Rec(2003)8).

ქვიშხეთი, ბეღლეთი, ბულბულისციხე, მონასტერი, რუსაანთუბანი, სავაანთუბანი, სათივე, სამანიშვილისკარი, ტაშისკარი, ტერეზი, ყიფიაანთუბანი;

2. ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეული:

ცხრამუხა, დამჩხეულა, თაგვეთი, კოდისწყარო, რბონა, ქაშვეთი, ჯვართმუხა;

3. დაბა სურამის ადმინისტრაციული ერთეული:

დაბა სურამი, ბიჯნისი, დიდი ბეკამი, პატარა ბეკამი, ზეკოტა, ურთხვა;

4. ხცისის ადმინისტრაციული ერთეული:

ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი;

5. წრომის ადმინისტრაციული ერთეული:

წრომი, ახალსენი, დიდი ყელეთი, დიდი ხავლეთი, იმერლიაანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი;

6. წაღვლის ადმინისტრაციული ერთეული: წაღვლი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ყობი, ჩორჩანა, წეღვერი;

7. ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეული:

ქვემო ოსიაური, ახალსოფელი, ზემო ოსიაური, ნარუჯები, ღანძილები, ღუდა;

8. ცოცხნარის ადმინისტრაციული ერთეული:

ცოცხნარა, ოძისი, ქემფერი, ცედანი, ცივწყარო, წაბლოვანი;

9. ალის ადმინისტრაციული ერთეული:

ალი, ახალუბანი, ბრილი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, მცხეთიჯვარი;

10. გომის ადმინისტრაციული ერთეული:

გომი, აგარები, დიდი სატივე, ვაყა, პატარა სატივე, ქვემო აძვისი, ხიდისყური;

11. ფლევის ადმინისტრაციული ერთეული:

დიდი ფლევი, ნაცარგორა, პატარა ფლევი, ტკოცა;

12. ხალების ადმინისტრაციული ერთეული:

დიდი ხალები, ალექსანდრეწყარო, პატარა ხალები, სარტყელი, ღართა, ღვრიაწყალი:

**მაღალმთიანი დასახლების სტატუსი**

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში შემავალ **25** სოფელს: ქვათეთრი, ლოშკინეთი, აბუხალო, ველისციხე, ორბოძალა, სათერძე, დუმაცხოვი, კლდისწყარო, ტკოცა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ცედანი, ცივწყარო, რბონა, ქაშვეთი, დამჩხეულა, ყობი, კლდისწყარო, წაღვლი, ტიტვინის წყარო, იმერლიაანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი, დიდი ხავლეთი, დიდი ყელეთი,

დიდი ხალები, პატარა ხალები, ღართა, სარტყელა, ალექსანდრეს წყარო, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა.
*გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სტატუსი მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში შემავალ 2 სოფელს:* ჩორჩანა და წაღვლი.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა

ქალაქსა და სასოფლო დასახლებებში მაცხოვრებელთა რაოდენობა, დამატებით ახალგაზრდების ასაკისა და გენდერის ჩაშლით. 2014 წლის საყოველთაო აღწერების მონაცემების მიხედვით[4]:

| | საქალაქო დასახლება | | | სასოფლო დასახლება | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასაკი | ორივე სქესი | კაცი | ქალი | ორივე სქესი | კაცი | ქალი |
| | **33,627** | **16,101** | **17,526** | **18,976** | **9,418** | **9,558** |
| 0 | 448 | 232 | 216 | 280 | 137 | 143 |
| 1 | 385 | 195 | 190 | 265 | 138 | 127 |
| 2 | 458 | 259 | 199 | 225 | 114 | 111 |
| 3 | 465 | 242 | 223 | 233 | 126 | 107 |
| 4 | 447 | 232 | 215 | 236 | 134 | 102 |
| 5 | 531 | 252 | 279 | 222 | 114 | 108 |
| 6 | 459 | 243 | 216 | 194 | 105 | 89 |
| 7 | 401 | 214 | 187 | 203 | 103 | 100 |
| 8 | 392 | 227 | 165 | 195 | 108 | 87 |
| 9 | 455 | 239 | 216 | 187 | 92 | 95 |
| 10 | 380 | 206 | 174 | 183 | 102 | 81 |
| 11 | 410 | 223 | 187 | 190 | 99 | 91 |
| 12 | 411 | 216 | 195 | 223 | 124 | 99 |
| 13 | 425 | 229 | 196 | 200 | 121 | 79 |
| 14 | 460 | 247 | 213 | 192 | 98 | 94 |

[4] „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები" საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელმისაწვდომია [https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi], 2022 წელი, 17 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | 385 | 199 | 186 | 197 | 110 | 87 |
| 16 | 487 | 243 | 244 | 248 | 137 | 111 |
| 17 | 462 | 246 | 216 | 276 | 141 | 135 |
| 18 | 303 | 163 | 140 | 170 | 103 | 67 |
| 19 | 266 | 153 | 113 | 181 | 94 | 87 |
| 20 | 282 | 155 | 127 | 184 | 108 | 76 |
| 21 | 315 | 171 | 144 | 193 | 120 | 73 |
| 22 | 393 | 216 | 177 | 219 | 113 | 106 |
| 23 | 490 | 275 | 215 | 288 | 157 | 131 |
| 24 | 446 | 223 | 223 | 286 | 163 | 123 |
| 25 | 411 | 210 | 201 | 246 | 131 | 115 |
| 26 | 436 | 190 | 246 | 238 | 137 | 101 |
| 27 | 467 | 248 | 219 | 231 | 119 | 112 |
| 28 | 528 | 264 | 264 | 270 | 145 | 125 |
| 29 | 489 | 258 | 231 | 246 | 146 | 100 |
| 30 | 448 | 211 | 237 | 239 | 138 | 101 |
| 31 | 474 | 220 | 254 | 221 | 111 | 110 |
| 32 | 446 | 219 | 227 | 233 | 125 | 108 |
| 33 | 487 | 238 | 249 | 241 | 118 | 123 |
| 34 | 438 | 205 | 233 | 209 | 97 | 112 |
| 35 | 460 | 226 | 234 | 204 | 102 | 102 |
| 36 | 466 | 220 | 246 | 216 | 111 | 105 |
| 37 | 472 | 232 | 240 | 216 | 105 | 111 |
| 38 | 511 | 249 | 262 | 246 | 116 | 130 |
| 39 | 494 | 244 | 250 | 228 | 127 | 101 |
| 40 | 511 | 244 | 267 | 228 | 110 | 118 |
| 41 | 478 | 239 | 239 | 241 | 108 | 133 |
| 42 | 467 | 230 | 237 | 253 | 137 | 116 |
| 43 | 487 | 256 | 231 | 237 | 127 | 110 |
| 44 | 469 | 216 | 253 | 236 | 121 | 115 |
| 45 | 429 | 216 | 213 | 228 | 116 | 112 |
| 46 | 448 | 225 | 223 | 240 | 118 | 122 |
| 47 | 417 | 216 | 201 | 270 | 135 | 135 |
| 48 | 471 | 223 | 248 | 270 | 142 | 128 |
| 49 | 445 | 220 | 225 | 293 | 140 | 153 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 50 | 490 | 235 | 255 | 318 | 168 | 150 |
| 51 | 505 | 235 | 270 | 303 | 166 | 137 |
| 52 | 496 | 230 | 266 | 291 | 134 | 157 |
| 53 | 483 | 221 | 262 | 330 | 169 | 161 |
| 54 | 569 | 263 | 306 | 289 | 131 | 158 |
| 55 | 513 | 213 | 300 | 306 | 155 | 151 |
| 56 | 480 | 208 | 272 | 334 | 189 | 145 |
| 57 | 471 | 230 | 241 | 274 | 119 | 155 |
| 58 | 500 | 213 | 287 | 269 | 115 | 154 |
| 59 | 437 | 190 | 247 | 279 | 128 | 151 |
| 60 | 446 | 178 | 268 | 282 | 123 | 159 |
| 61 | 408 | 183 | 225 | 243 | 116 | 127 |
| 62 | 433 | 178 | 255 | 228 | 97 | 131 |
| 63 | 378 | 177 | 201 | 225 | 119 | 106 |
| 64 | 389 | 174 | 215 | 217 | 98 | 119 |
| 65 | 371 | 152 | 219 | 235 | 105 | 130 |
| 66 | 350 | 140 | 210 | 198 | 87 | 111 |
| 67 | 335 | 142 | 193 | 199 | 88 | 111 |
| 68 | 273 | 122 | 151 | 161 | 73 | 88 |
| 69 | 167 | 64 | 103 | 95 | 37 | 58 |
| 70 | 146 | 64 | 82 | 106 | 48 | 58 |
| 71 | 140 | 63 | 77 | 85 | 33 | 52 |
| 72 | 251 | 108 | 143 | 156 | 75 | 81 |
| 73 | 253 | 89 | 164 | 217 | 93 | 124 |
| 74 | 267 | 101 | 166 | 222 | 85 | 137 |
| 75 | 262 | 89 | 173 | 205 | 84 | 121 |
| 76 | 276 | 109 | 167 | 207 | 83 | 124 |
| 77 | 240 | 89 | 151 | 201 | 80 | 121 |
| 78 | 196 | 65 | 131 | 142 | 51 | 91 |
| 79 | 177 | 62 | 115 | 138 | 61 | 77 |
| 80 | 136 | 49 | 87 | 121 | 49 | 72 |
| 81 | 152 | 51 | 101 | 103 | 40 | 63 |
| 82 | 114 | 37 | 77 | 103 | 36 | 67 |
| 83 | 106 | 34 | 72 | 81 | 29 | 52 |
| 84 | 84 | 25 | 59 | 85 | 35 | 50 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 85 | 328 | 99 | 229 | 278 | 76 | 202 |

უშუალოდ ხაშური უბნებად/თემებად დაყოფილი  არ არის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, **52 603** ადამიანს შეადგენს, მათ შორის **10 285** ახალგაზრდაა (**14-29** წლის ჩათვლით). ახალგაზრდების წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში **19 %-ია.** ახალგაზრდების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი ახალგაზრდების **53 %-ს** შეადგენენ[5]:

| ასაკი | ორივე სქესი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| 14 | 652 | 345 | 307 |
| 15 | 582 | 309 | 273 |
| 16 | 735 | 380 | 355 |
| 17 | 738 | 387 | 351 |
| 18 | 473 | 266 | 207 |
| 19 | 447 | 247 | 200 |
| 20 | 466 | 263 | 203 |
| 21 | 508 | 291 | 217 |
| 22 | 612 | 329 | 283 |
| 23 | 778 | 432 | 346 |
| 24 | 732 | 386 | 346 |
| 25 | 657 | 341 | 316 |
| 26 | 674 | 327 | 347 |
| 27 | 698 | 367 | 331 |
| 28 | 798 | 409 | 389 |
| 29 | 735 | 404 | 331 |

დეტალური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობისა და მაჩვენებლები სქესისა და ასაკის მიხედვით, იხ. დანართ №1-ში.

[5] ,,მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერები“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ბმულის ლინკი https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi, ნახვის დღე 17 ოქტომბერი.

# საქართველოში არსებული მდგომარეობა

სახელმწიფოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდგომ მუდმივად მიმდინარეობს. პერიოდულად ევროკავშირის, იუესაიდის თუ სხვა ფონდების ხელშეწყობით ხდება სხვადასხვა პროგრამების და რეფორმების განხორციელება, ბოლო პერიოდში კი აქტიურად მუშაობს სახელმწიფო პროგრამები (აწარმოე საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, GITA, დანერგე მომავალი და ა.შ.), რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს განვითარდეს და განავითაროს საკუთარი მეწარმეობა/ბიზნესი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება, მაღალმთიან სოფლებსა და კონფლიქტის პირა სოფლების განვითარებაზე. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამები ხელს უწყობს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და სოფლებიდან ნაკლები ახალგაზრდის გადინებას. თუმცა, რჩება რიგი პრობლემები, რაც აფერხებს ახალგაზრდების განვითარებას.

ერთი-ერთი ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს ხედვა, რომელიც ითვალისწინებს და ხელს უწყობს ახალგაზრდების და ზრდასრულთა მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვას. პიროვნება, რომელიც ჩართულია ბავშობიდან/ახალგაზრდობიდან სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში, გაცილებით შრომისუნარიანია ბაზარზე, რაც ერთთავად ხელს უწყობს როგორც თემის, ასევე ქვეყნის განვითარებას[6].

ასევე, აღსანიშნავია, ახალგაზრდების გადინება მეზობელ ქვეყნებში. განსაკუთრებით, ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოსგან განსხვავებით შრომის ანაზღაურება მაღალია და ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური (გერმანია, იტალიის ჩრდილოეთი, შვედეთი, ფინეთი)[7].

აგრეთვე, ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორია შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა და საერთაშორისო ასპარეზზე, მიმდინარე რუსეთის ომი უკრაინაში, რომელიც დამატებით ეკონომიკურ გამოწვევებს უქმნის საქართველოს. მოგეხსენებათ, პროდუქციის დიდი ნაწილი, საქართველოში შემოდიოდა უკრაინიდან და რუსეთიდან[8]. აღნიშნულ ქვეყნებში შექმნილმა

[6] კვლევა - ,,მოხალისეთა მართვის დამხმარე სახელმძღვანელო: რესურსი ახალგაზრდა მოხალისეებისთვის“ შემსრულებელი ჰელფინგ ჰენდი, 2021 წელი.
[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ,,ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი“, 2017 წ.
[8] ინტერნეტ რესურსი https://geoeconomics.ge/?p=14419, ნახვის დღე 20 აგვისტო

სასურსათო დეფიციტმა გაზარდა საქართველოშიც პროდუქციის ფასები[9], ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე, რაც უარყოფითად აისახება ჩვენი ქვეყანის მოქალაქეების ოჯახებზე. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, აღსანშნავია, სოფლის მეურნეობის პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივას. [10].

სახელმწიფოს ერთ-ერთ პრობლემას ასევე წარმოადგენს ახალგაზრდები, რომლის დიდ ნაწილს არ აინტერესებთ სწავლა, მუშაობა, მიდრეკილნი არიან მავნე ჩვევებისკენ[11]. ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის ნარკოტიკები ცხოვრების ყოველდღიურ წესად იქცა, ასევე ადამიანის გამეტება სასიკვდილოდ. ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელები ფიქრობენ ამ თემებზე, თუმცა ერთიან სისტემაში მოქცევის საშუალება და შესაძლებლობა არ აქვთ, რის გამოც ქვეყანაში არსებულ ადამიანურ რესურსში არსებული შესაძლებლობები, მხოლოდ ინდივიდებში რჩება და ამით როგორც ჩვენი მომავალი თაობა ასევე სახელმწიფო იღებს დიდ ზიანს, რადგან ვერ ხერხდება სრულფასოვნად ცოდნის გადაცემა მომავალი თაობებისთვის და სხვა პროფესიონალებისთვის. ფაქტია, ოჯახური ძალადობა, ბულინგი, გემბლინგი, სუიციდი, სუიციდის მცდელობა, ნარკომანია, სხვადასხვა სახის მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება აშკარად გაზრდილია დეკრიმინალიზაციის შემდგომ[12], რაც საერთო ჯამში ქვეყანაში ქმნის ახალგაზრდების განვითარების შემაფერხებელ ბარიერებს. მსუბუქი ნარკოტიკების ნაწილობრივ ლეგალიზაციამ გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, ამავე მომხმარებლის ასაკის დაწევის ხარჯზე რაც სავალალოა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ფონისთვის[13].

---

[9] ინტერნეტ რესურსი, https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekonomikaze/, ნახვის დღე 20 სექტემბერი

[10] იქვე

[11] კვლევა ,,თაობა გარდამავალ ეპოქაში“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2018 წელი

,,NEET თაობის საჭიროებები“, ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება, 2020 წელი.

[12] საქართველოს კანონი, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 26 ივლისი 2017 წელი. ცვლილების #1221რს.

[13] ავტორი საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ხაშურის სოციალურ-ეკონომიკური განვიტარების კვლევა, 2011 წელი, ხელმისაწვდომიაhttp://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH5f1904238a8ba6b2122f66;jsessionid=9B3D72D7B3E85E3E7E9359FCD938C43E?ed=1, გამოქვეყნების თარიღი 2011 წელი. ნახვის თარიღი 20 მაისი 2022 წელი

ადამიანის უფლებებისა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ნაშრომი ,,ნარკოპოლიტიკა საქართველოში“, 2019 წელი, ინტერნეტ წყარო: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%A1%E1%

## ხაშურის  მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი მდგომარეობა

ხაშური, ბუნებრივად, ყოველთვის იყო ქვეყნის სამი მიმართულების დამაკავშირებელი კვანძი (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი) და ინარჩუნებს დღემდე ამ სტატუსს. მოსახლეობის დიდი ნაწილიაწარმოებს სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთებს. აღნიშნული პროდუქცია გამოირჩევა კარგი ხარისხით და იკავებს თავის ნიშას ქართულ ბაზარზე. აღსანიშნავია, დაბა სურამის პოტენციალი. დაბა სურამის მიმდებარე ბუნებრივი კლიმატი გაზაფხულის პერიოდში, კერძოდ კი მაისის თვეში (როდესაც ხდება ნაძვის დამტვერიანება) იზრდება მოთხოვნა საოჯახო სასტუმროებზე. შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა საოჯახო სასტუმროების მართვაში არის ჩართული, რაც ერთთავად ზრდის და ანვითრებს საოჯახო ტურიზმის სფეროს. ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების დასაქმებას, რაც მნიშვნელოვანია ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტი არ არის საუნივერსიტეტო ქალაქი, რაც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ახალგაზრდების გადინების, როგორც გორის, ასევე თბილისის მიმართულებით. უმაღლეს განათლება მიღებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი დროებით, ან სულ ტოვებენ საკუთარ საცხოვრისს, რაც მუნიციპალიტეტში არასაკმარისი სამუშაო ადგილებიდან მომდინარეობს.

ქ. ხაშურში ფუნქციონირებს 33 სკოლა,  მათ შორის 32  საჯარო,  1 კერძო სკოლა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სოფელს მხოლოდ ერთი სკოლა აქვს. მუნიციპალიტეტში არსებული სასკოლო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და სკოლა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდებას.

ხაშურის მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევამ აჩვენა, რომ უშუალოდ ახალგაზრდების პრობლემას წარმოადგენს კინოთეატრის, ახალგაზრდების შეხვედრის ადგილების, ბიბლიოთეკების არ არსებობა, რაც თავისმხრივ ახალგაზრდების განვითარებისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიბლიოთეკების რაოდენობა საკმარისი არ არის, როგორც ქალაქში, ასევე რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. პრობლემას

---

83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98_1580287543.pdf

ასევე წარმოადგენს რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ გაატარონ თავისუფალი დრო.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტად თანამშრომლობენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, რომლებიც აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად წარმართვა.
მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მეტი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შესწავლილი და გათვალისწინებული იქნას ახალგაზრდების მრავალმხირივ ინტერესები და შესაბამისად, მიეწოდოთ მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები. აღნიშნული სერვისები, ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას თავად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ინიციატივა, აიმაღლონ ცნობიერება და კვალიფიკაცია საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენცია, ტრენინგი, სემინარი) მონაწილეობის გზით. ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

- სამართლიანობა;
- თანასწორობა;
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალეობა;
- ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა;
- მიუკერძოებლობა;
- დაინტერესებული პირების ინფორმირება;
- უფლებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა.

*ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ახალგაზრდებთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები* **(მუხლი 16):**

- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების,

საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

- მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ადგილობრივ დონეზე.

## მისია

ახალგაზრდების განვითარება და კეთილდღეობა, ახალგაზრდების პოტენციალის სრული რეალიზება და მათი აქტიურად ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში.

## სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგია ეფუძნება 4 ძირითად სტრატეგიულ მიზანს:

**1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება**

ამოცანები:

1.1. ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირება.

1.2. ახალგაზრდების ინფორმირება თემში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ;

1.3. ახალგაზრდების მიერ როგორც საკუთარი, ისე სხვისი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

1.4. ახალგაზრდების აქტიურად ჩართვა თემის განვითარების პროცესში და ადვოკატირების შესაძლებლობა;

1.5. უმცირესობების - გენდერული, სოციალური, ასაკობრივი, ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და ოჯახური ძალადობის შემცირება და მათი ინკლუზიურობის გაზრდა.

**2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობების შექმნა**

ამოცანები:

2.1. ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირება და მისი პოპულარიზება საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების გამოყენებით.

2.2. რეკრეაციული გარემოს შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მათ მიერ აღნიშნული გარემოს მნიშვნელობის გათვითცნობიერების უზრუნველყოფა.

2.3. ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის შესაძლებლობების შექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის, მათ შორის ველობილიკების და სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდის გზით;

2.4. ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირება.

**3. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება**

ამოცანები:

3.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება შესაბამისი პროგრამების განხორციელების გზით;

3.2. ახალგაზრდების მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა;

3.3. მოხალისეობის პოპულარიზება და წახალისება;

3.4. ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო, ახალგაზრდული ჯგუფების ხელშეწყობა და განვითარება;

3.5. კულტურათაშორისი და გენდერული მგრძნობელობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

3.6. ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა.

**4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება**

ამოცანები:

4.1. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება;

4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა, შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით;

4.3. თემში საჯარო ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრების დაფუძნება/ჩამოყალიბება, არსებულის მოდერნიზება და აღჭურვა;

4.4. კულტურულ-შემეცნებითი აქტივობების რაოდენობის გაზრდა.

# სამოქმედო გეგმა

*მიზანი 1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია*

| მიზანი/ამოცანა | ვადა | შესრულების მაჩვენებელი/ ინდიკატორი | პასუხისმგებელი ორგანიზაცია ან პირი | საბოლოო შედეგი |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 1. 1.<br>ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირება<br>და პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 2026 | ა) სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტები აქტიურ სამუშაო პროცესშია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br>ახალგაზრდობის სააგენტო<br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრები ახალგაზრდების 60%-ზე მეტი დასაქმებულია |
| | 2026 | ბ) დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა | | |
| ამოცანა 1.2.<br>ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების | 2026 | ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br>ახალგაზრდობის სააგენტო<br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრებ ახალგაზრდებს<br>გააჩნიათ დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განვითარების შესაძლებლობები | | | | |
| ამოცანა 1.3.<br><br>ახალგაზრდებს ინფორმირება თემში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ | 2026 | ა) ახალგაზრდებისთვის შექმნილია სხვადასხვა სახის საინფორმაციო პლატფორმა, რამაც გაზარდა ახალგაზრდებში ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის საგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრებ ახალგაზრდებსთვის<br><br>აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა თემატური აქტივობები |
| | 2026 | მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდების ინფორმირების სხვადასხვა ფორმებზე | | |
| ამოცანა 1.4.<br><br>ახალგაზრდების მიერ, როგორც საკუთარი, ისე სხვისი უფლებების დაცის ხელშეწყობა | 2026 | ა) ახალგაზრდებში ცნობიერება ამაღლებულია, როგორც საკუთარი ასევე სხვისი უფლებების შესახებ | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის საგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრებ ახალგაზრდების<br><br>უფლებები დაცულია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 1.5.<br><br>ახალგაზრდების აქტიურად ჩართვა თემის განვითარების პროცესში და ადვოკატირების შესაძლებლობა | 2026 | ა) ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან, მუნიციპალურ განვითარების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის საგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრები ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული თემის განვითარების პროცესში |
| | 2026 | ახალგაზრდებს ხელი ეწყობა გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით | | |
| ამოცანა 1.6 .<br><br>უმცირესობების - გენდერული, სოციალური, ასაკობრივი, ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და ოჯახური ძალადობის | 2026 | ახალგაზრდებს შორის, ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია აღმოფხვრილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის საგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ხაშურში მცხოვრებ ახალგაზრდებში<br><br>შემცირებულია ყოველგვარი დისკრიმინაცია და ოჯახში ძალადობის ფაქტები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შემცირება და მათი ინკლუზიურობის გაზრდა. | | | | |

*მიზანი 2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობები შექმნილია*

| **მიზანი/ამოცანა** | **ვადა** | **შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი** | **საბაზისო მაჩვენებელი** | **საბოლოო მაჩვენებელი** |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 2.1.<br><br>ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირება და მისი პოპულარიზება, საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების გამოყენებით. | 2026 | ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის სააგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 60%-ი ინფორმირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 2.2.<br><br>რეკრეაციული გარემოს შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მათ მიერ აღნიშნული გარემოს მნიშვნელობის გათვითცნობიერების უზრუნველყოფა. | 2026 | ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან გარემოს დაცვით და რეკრიაციული სისტემის არსებობის შესახებ | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის სააგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 60% ინფორმირებულია რეკრიაციული გარემოს მნიშვნელობის შესახებ |
| ამოცანა 2.3.<br><br>ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის/სავარჯიშო შესაძლებლობების შექმნა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდის გზით; | 2026 | ა) სხვადასხვა სპორტული, ღია და დახურული ინფრასტრუქტურა მოწყობილია, მათ შორის ველო ბილიკები | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის სააგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის/სავარჯიშო ინფრასტრუქტურა მოწყობილია |
| | 2026 | ბ) სპორტული ღონისძიებების რაოდენობა და მათში ახალგაზრდების ჩართულობა გაზრდილია | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 2.4. ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია | 2026 | ა) ახალგაზრდების რაოდენობა, ჯანდაცვის სერვისების მიღების პროცესში გაზრდილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br>ახალგაზრდობის საგენტო<br>არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 50%-ი ინტენსიურად მოიხმარს ჯანდაცვის სერვისებს |
| | 2026 | ბ) ახალგაზრდებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობადობა ამაღლებულია | | |

*მიზანი 3. ახალგაზრდული პოლიტიკა მუშაობს*

| მიზანი/ამოცანა | ვადა | შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 3.1.<br>ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება შესაბამისი პროგრამების | 2026 | ა) ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ამაღლებულია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br>ახალგაზრდობის საგენტო<br>არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 45%-ში ამაღლებულია სახელმწიფოებრივი ცნობიერება |
| | 2026 | ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განხორციელების გზით | | სამოქალაქო აქტივიზმში გაზრდილია | | |
| ამოცანა 3.2. ახალგაზრდების მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა | 2026 | ა) ახალგაზრდები მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი | ხაშურის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდობის სააგენტო არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 50% ინფორმირებულია ახალგაზრდებთან დაკავშირებულ, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით |
| | 2026 | ბ) ახალგაზრდები აქტიურად არიან გადაწყვეტილების პროცესში ჩართულნი | | |
| ამოცანა 3.3. მოხალისეობის პოპულარიზება და წახალისება | 2026 | ა) ახალგაზრდებში გაზრდილია ცნობადობა მოხალისეობასთან დაკავშირებით | ხაშურის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდობის სააგენტო არასამთავრობო სექტორი | შექმნილია მოხალისეობის მხარდამჭერი შესაბამისი პროგრამა |
| | 2026 | ბ) შემუშავებულია ახალგაზრდა მოხალისეების წახალისების პროგრამა | | |
| ამოცანა 3.4. ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო, | 2026 | ა) ახალგაზრდული პროექტები მუნიციპალიტეტიდან მხარდაჭერილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდობის სააგენტო | შექმნილია ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული ჯგუფების ხელშეწყობა და განვითარება; | 2026 | ბ) ახალგაზრდების რაოდენობა გაზრდილია როგორც არასამთავრობო სექტორში, ასევე საინიციატივო ჯგუფებში | არასამთავრობო სექტორი | ჯგუფების მხარდამჭერი პროგრამა |
| ამოცანა 3.5. კულტურათაშორისი და გენდერული მგრძნობელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; | 2026 | ახალგაზრდებში ამაღლებულია კულტურათშორისი და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით მგრძნობელობა/ინფორმაცია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br>ახალგაზრდობის საგენტო<br>არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდების 45%- ში გაზრდილია ცნობადობა კულტურათშორისი და გენდერული მგრძნობელობის შესახებ |
| ამოცანა 3.6. ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა | 2026 | ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა გაზრდილია | | ახალგაზრდების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში გაზრდილია |

*მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია*

| მიზანი/ამოცანა | ვადა | შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანა 4.1. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის მხარდაჭერა | 2026 | ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა გაზრდილია, მათი საქმიანობა მხარდაჭერილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო სექტორი | ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი მხარდაჭერილია |
| ამოცანა 4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა, შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით; | 2026 | ა) არაფორმალური განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო სექტორი | შექმნილია ახალგაზრდების პიროვნული განვითარების მხარდაჭერის პროგრამა |
| | 2026 | ბ) ახალგაზრდების ჩართულობა გაზრდილია არაფორმალური განათლების პროცესში | | |
| ამოცანა 4.3. თემში საჯარო ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრების დაფუძნება/ჩამოყალიბება, არსებულის | 2026 | ა) თემებში ჩამოყალიბებულია მინიმუმ 3 ბიბლიოთეკა და ახალგაზრდული ცენტრი | ხაშურის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდობის სააგენტო არასამთავრობო სექტორი | ჩამოყალიბდა სამი ბიბლიოთეკა და ახალგაზრდული ცენტრი |
| | 2026 | ბ) ახალგაზრდულ ცენტრებზე და ბიბლიოთეკებზე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოდერნიზება და აღჭურვა; | | ხელმისაწვდომობა გაზრდილია | | |
| ამოცანა 4.4.<br><br>კულტურულ-შემეცნებითი აქტივობების რაოდენობის გაზრდა | 2026 | კულტურულ-შემეცნებით აქტივობების რაოდენობა გაზრდილია, ახალგაზრდების ჩართულობა გაზრდილია | ხაშურის მუნიციპალიტეტი<br><br>ახალგაზრდობის საგენტო<br><br>არასამთავრობო სექტორი | კულტურული და შემეცნებითი აქტივობების რაოდენობა გაზრდილია |

## სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს მერიაში არსებული შესაბამისი სამსახური, მომიჯნავე განყოფილებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, დეკემბრის თვეში შეთანხმებისამებრ, სადაც მერიის შესაბამისი პასუხიმგებელი სამსახური წარმოადგენსსტრატეგიის განხორციელების მიმდინარე პროცესის ანალიზს. შეხვედრაზე, განიხილება შემდეგი საკითხები: კონკრეტულ პერიოდში შესრულებული სამუშაო, ხელთ არსებული  რესურსები, პრობლემები, გამოწვევები, საჭირო რესურსები შემდგომი განვითარების მიზნით.

მონიტორინგის და შეფასების მიზნით შესაძლებელია დამატებითი შეხვედრის ორგანიზება, რომელსაც იწვევს მერი ან მერთან შეთანხმებით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.